მოწყობილობის დანიშნულება

ელექტრო ყავის მადუღარა განკუთვნილია ყავის მოსამზადებლად.

უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობის გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული სახელმძღვანელო და შეინახეთ იგი სამომავლო გამოყენებისთვის.
- არ გადააადგილოთ მოწყობილობა კვების კაბელით. ასევე არ დაუშვათ კაბელის გადაკიდება მაგიდის კიდეზე, მისი მოჭყლეტა საგნებით, შეხება ცხელ ზედაპირებსა თუ ბასრ კუთხეებთან. კვების კაბელის დაზიანების შემთხვევაში, მისი შეცვლისთვის მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- არ გამოიყენოთ აქსესუარები, რომლებიც არ არის რეკომენდებული მწარმოებლის მიერ.
- არ გამოიყენოთ ყავის მადუღარა ძაბვის გარდამქმნელთან (ტრანსფორმატორთან) და/ან დამაგრძელებელთან ერთად.
- ნუ დადგამთ მოწყობილობას მიკროტალღურ ღუმელზე, ელექტრო/გაზქურაზე ან სითბოს სხვა წყაროებზე. მოარიდეთ იგი ადვილად აალებად საგნებს (ავეჯი, ბალიშები, ფარდები და ა.შ.).
- არ გამოიყენოთ ყავის მადუღარა ღია ცის ქვეშ ან იქ, სადაც გამოიყენება აეროზოლური სპრეები.
- დაიცავით მოწყობილობა დავარდნისა და ტენიანობის ზემოქმედებისგან.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ. არ გამოიყენოთ მადუღარა რძის ან სხვა სითხეების გასაცხელებლად.
- თუ მოწყობილობას იყენებთ ისეთ ზედაპირზე, რომელიც შეიძლება დაზიანდეს გაცხელებისას, დაუფინეთ მას თბოიზოლაციური სადგამი.
- დამწვრობის თავიდან ასაცილებლად, არ შეეხოთ მოწყობილობის ცხელ ნაწილებს მუშაობის პროცესში და მის სრულ გაგრილებამდე. ხელი მოჰკიდეთ სახელურს.
- არ შეეხოთ მოწყობილობას სველი ხელებით.
- არ დააგდოთ მოწყობილობა და არ ჩადოთ მის ხვრელებში რაიმე საგანი.
- არ გამოიყენოთ მადურარა წყლით შევსების გარეშე.
- თუ მოწყობილობა ჩავარდა წყალში, არ ამოიღოთ იგი მანამ, სანამ არ გამორთავთ ელექტროქსელიდან.
- ჰაერის ცირკულაციისთვის დატოვეთ თავისუფალი ადგილი მომუშავე მოწყობილობის გარშემო.
- არ გადააადგილოთ მომუშავე მოწყობილობა და არ დატოვოთ იგი უმეთვალყურეოდ.
- მოწყობილობა იმყოფება ძაბვის ქვეშ, როდესაც შეერთებულია კვების ქსელში, მაშინაც კი, თუ გადამრთველი იმყოფება „0“ პოზიციაში.
- ყოველთვის გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან გამოყენების დასრულების შემდეგ, ასევე მისი გადაადგილების, გაწმენდისა და შენახვის წინ. მოწყობილობის გამოსართავად ხელი მოჰკიდეთ ჩანგალს; არ დაქაჩოთ კაბელი.
- სანამ მოწყობილობას ქსელიდან გამორთავთ, დააყენეთ გადამრთველი „0“ პოზიციაში.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი გარე ტაიმერით ან დისტანციური მართვის ცალკეული სისტემით მართვისთვის.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მოცემული მოწყობილობა არ შეიცავს ელემენტებს, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ. რემონტისთვის მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.